განკარგულება:**გ-37.37211821**
თარიღი:**01/07/2021**

განკარგულება N36

ქ. ოზურგეთი 1 ივლისის 2021 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის

თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების: რეგისტრაციის ნომერი AAA266C, თვითმცვლელი მისამბმელი, მარკა-OZYFESILYURT; რეგისტრაციის ნომერი AV274V, სპეციალური მისაბმელი, მარკა - KAAZBOHRER; რეგისტრაციის ნომერი AV273V, სპეციალური მისაბმელი, მარკა - KAAZBOHRER; რეგისტრაციის ნომერი AAA265C, თვითმცვლელი მისამბმელი, მარკა-OZYFESILYURT; რეგისტრაციის ნომერი GG156P, ბორბლიანი ტრაქტორი, მარკა - SAME; რეგისტრაციის ნომერი AV044V, თვლიანი ტრაქტორი, მარკა - JOHN DEERE; რეგისტრაციის ნომერი AV033V, თვლიანი ტრაქტორი, მარკა - JOHN DEERE; რეგისტრაციის ნომერი AV268V, თვლიანი ტრაქტორი, მარკა - JOHN DEERE; რეგისტრაციის ნომერი AV269V, თვლიანი ტრაქტორი, მარკა - JOHN DEERE შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისთვის უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, გადაცემისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გიორგი ღურჯუმელიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი